

პარასკევი, 23 აგვისტო 1918 წ.

# ბრძოლა

№ 12

გაზეთის ფასი 40 კაპ.

ზუგდიდის მხარაში ანარქია ძლიერდება. იგ-  
ზავნება ჯარი. კავკასი კვლავ ბოლშევიკებმა  
დაიკავეს.

ორგანო საქართველოში მოქმედ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პერიოდით სტრიქონი 1 მან., შემოთხვევ 150 კაპ. სამ-  
გლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგანზეთო მასალას რედაქცია არ  
ინახავს.

ხელის მოწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифლის, Контра  
Газ. „Шрома“, Чавчаваძისუა.ლ. Софийская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს  
რედაქცია ვერ მიიღებს.  
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.  
რედაქციის მისამართი: *Тифლის Редакция газ. „Шрома“ Чавчаваძისუა.ლ. Софийская  
школа.*

მიიღება ხალის მოწარა ურავალ-დღიურ გაზეთი  
**„შრომა“-ყე**  
გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანათი.  
მისამართი: ტფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

პარასკევს, 23 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე  
გაზეთი პირველ გიმნაზიის დარბაზში (შესავალი როზანოვის ქუჩიდან  
პირველი კარები) დანიშნულია  
სოციალისტ რევოლუციონერთა პარტიის  
თბილისის ორგანიზაციის  
**საერთო კრება.**  
დღის წესრიგი:  
1. ქალაქის კომიტეტის არჩევნები.  
2. მიმდინარე საკითხები.  
ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს კრებას აუცილებლად დაესწრონ.  
საორგანიზაციო ბიურო.

В пятницу 23 августа, в 7 часов вечера в  
первой мужской гимназии (вход с Розеновск.  
ул. первый подъезд) СОСТОИТСЯ  
**ОБЩЕЕ СОБРАНИЕ**  
членов Тифлисской организации партии Соци-  
алистов-Революционеров.  
Порядок дня: 1) переборы городского коми-  
тета. 2) организационные вопросы.  
Организационное бюро.

**მქიმი ი. კ. ავაკელია**  
შინაგანი ავადმყოფობა.  
განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-  
მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა,  
ფილტვების აპქისა, გულისა და ჯირ-  
კვლებისა.  
აპოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყო-  
ველ გვარი ქლექისა, სისხლნაკლებო-  
ბისა და მალარიისა.  
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა  
კვირისა საღამოს 4 1/2-ს საათამდე.  
ცენტრ დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5-86

ში ძლიერ გაზვირდა კამათი  
სხვადასხვა შეკითხვების გარშე-  
მო.  
ზოგჯერ კი ამ შეკითხვებს  
მთელ სხდომებს ანდომებენ.  
შეკითხვის უფლება ერთი იმ  
აუცილებელ და მნიშვნელოვან  
უფლებათაგანია, რომლის საშ-  
უალებით დემოკრატიული სა-  
კანონმდებლო ორგანო აღმას-  
რულებელ ორგანოს კანტროლის  
უწყებს, და მის მუშაობას ერთ-  
ნაირ იმპულსსა და მიმართუ-  
ლებას აძლევს. შეკითხვის სა-  
ხით მოქალაქეს, საკანონმდებ-  
ლო ორგანოს წევრს ეძლევა  
უფლება საკანონმდებლო ორ-

განოსა და მთელი ერის სამსჯავ-  
როს წინაშე დასვას ამა თუ იმ  
აღმასრულებელ ორგანოს მოქ-  
მედება, კრიტიკის ქარ-ცეცხლ-  
ში გაატაროს ის და წამოაყუ-  
ნოს მართვა-გამგეობის ამა თუ  
იმ დარგის მოსაწესრიგებლათ  
რაციონალური — შრომელი  
ხალხისა და ერის კეთილდღე-  
ობისაკენ მიმართული ზომები.  
საკანონმდებლო ორგანოსათვის  
შეკითხვა — ეს ის ფანჯარაა,  
საიდანაც მოდის მაცოცხლებე-  
ლი სიო, სიო უმეგვო ცხოვ-  
რების და კრიტიკის, ურომ-  
ლისოთ ფრთებს შეისხამს თვით-  
ნებობა, და თვითსაკანონმდებ-  
ლო ორგანოს სიცოცხლის უნო-  
სვა დაჩაღუნდება, მოღუნდება.  
აქედან აშკარაა ორი რამ:  
ერთის მხრით შეკითხვა უნდა  
იყოს სერიოზული და დასაბუ-  
თებული: ის უნდა ეყრდნობო-  
დეს ობიექტურ ფაქტებს და  
მათი სწორი გაშუქებას.  
მეორეს მხრით აშკარაა, რომ  
შეკითხვა არ არის მარტო ოფი-  
ციალური ოპოზიციის ბრძო-  
ლის ხარაღი, მისი კუთვნილე-  
ბა, მის მოვალეობაა ყოველი  
პოლიტიკური ჯგუფის, რომე-  
ლიც ერის წინაშე პასუხს აგებს,  
და თავის ჯგუფობრივ ინტე-  
რესს შრომელი ხალხის ინტე-  
რესზე მაღლა არ აყენებს.  
თუ ამ მოსაზრებათა თვალ-  
საზრისით შევხედავთ იმ შეკი-  
თხვებს, რომლებიც ეროვნულ  
საბჭოში შემოდის, უნდა  
ვსთქვათ, რომ მათ შესახებ კა-  
მათი არა ნორმალურ ატმოს-  
ფერაში სწარმოებს. შეკითხვე-  
ბი უმთავრესად ეროვნულ დე-  
მოკრატიებს შეაქვთ. თუ რა  
ამოძრავებს მათ, ეს აშკარაა  
ბ. რ. გაბაშვილის სიტყვები-  
დან, რომელიც პირდაპირ ეუ-  
ბნება სოციალისტებს: თქვენ  
ნგრევა შეგიძლიათ, აშენება კი  
არა, სახელმწიფოს აშენება  
თქვენი საქმე არ არისო. აშკა-  
რაა, თავიანთ შეკითხვებით და  
მათ გარშემო ატეხილ აგიტა-  
ციით ეროვნულ დემოკრატიებს  
სურთ დასცენ სოციალისტების  
პრესტიჟი. ამ შემთხვევაში არა  
გულწრფელია მათი რწმუნება,  
თითქოს ისინი გამოდიან მხო-  
ლოდ სახელმწიფოებრივობის  
ინტერესების თვალსაზრისიდან.  
აქ ცხადზე უცხადესია, რომ  
მათ ამოქმედებს მხოლოდ ვი-  
წრო ჯგუფური ინტერესები,

თორემ განა მათ არ იციან,  
რომ თუ სოციალისტურმა ინ-  
ტელიგენციამ, რომელიც ჩვენი  
ინტელიგენციის ცხრა მეათედს  
შედგენს, ვერაფერი შესძლო,  
მით უფრო ვერაფერს ვახდება  
პოლიტიკური დეზერტირების  
და საზოგადოებრივი ინვალი-  
დების ჯგუფი, რომელიც თა-  
ვის თავს ეროვნულ დემოკრა-  
ტიის სახელმწიფოებრივ პარ-  
ტიას უწოდებს?  
აი სწორედ ეს აშკარა კონტრ-  
რევოლუციონური მიზანი,  
რომლისთვის ეროვნულ დემო-  
კრატიებს სურთ გამოიყენონ  
ყოველი შეკითხვა, აიძულებს  
ეროვნულ საბჭოს უმრავლესო-  
ბის ფრაქციას თავისი ყურად-  
ღება მაქციოს არა უმთავრე-  
სათ შეკითხვის არსებით მხა-  
რეს, არამედ ეროვნული დე-  
მოკრატიების სოციალური ბუ-  
ნების გამომყდარებას და მათი  
პოლიტიკური მოღვაწეობის  
კრიტიკას. ამიტომაც არის,  
რომ საბჭოს ტრიბუნდან ფაქ-  
ტების ღრმა ანალიზის მაგიერ  
ხშირად სამიტინგო სიტყვები  
გვესმის, რაც უფრო აძლიერებს  
იმ ატმოსფერას, რომელზედაც  
მოგახსენეთ.  
ჩვენს დემოკრატიას ცხოვრე-  
ბამ მეტათ რთული და მძიმე  
მოვალეობა დააკისრა. მის შე-  
მოქმედებით მუშაობას ელოდებ-  
ბა მრავალი ობიექტური და-  
ბრკოლება. აქ შეცდომები აუ-  
ცილებელია. ასეთ პირობებში  
მიუდგომელი და ჯანსაღი კრი-  
ტიკა ჩვენს დემოკრატიას ფას-  
დაუღებელ სამსახურს გაუწევს.  
ჩვენის აზრით ჩვეულებრივი  
პოზიცია ოპოზიციისა და მმარ-  
თველი პარტიების — სრულებით  
არ შეეფერება ჩვენს დღევან-  
დელს მდგომარეობას. ჩვენ  
ფიქრობთ, რომ ჩვენი დემო-  
კრატიისთვის ერთნაირად მიუ-  
ღებელია, როგორც იმათი პო-  
ზიცია, ვინც ყველაფერში და  
ყოველთვის მთავრობის გამტ-  
ყუნებას სცდილობს, ისე იმათი  
პოზიცია, ვინც მას ყველა-  
ფერში ამართლებს, ვინაიდან  
სადი რევოლუციონური კრი-  
ტიკა საუკეთესო მეგობარია  
რევოლუციონური ხალხისა

**სამართო პრინციპი.**  
დღევანდელ ჩვენს გაზეთში მო-  
ყვნილია რაოდენიმე ცნობა სენა-  
კის მხარაში არჩევნების შედეგის  
შესახებ. ეს ცნობა მრავალ მეტყუე-  
ლია, ის ამტკიცებს, რომ იერიქო-  
ნის კედელი დანგრეულია და შორს  
არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი  
შრომელი ხალხი სასესიით განთავი-  
სუფლდება იმ გონებრივი სიუძლე-  
რისაგან, რომლითაც ის იყო შეპყ-  
რობილი. იყო დრო, როცა ჩვენს  
სოფლებში სხვა ვერავინ გაიქაპანე-  
ბდა თუ არ სოც. დემოკრატი. ს-დ.  
იყო ცნობილი, როგორც ერთად-  
ერთი მუშის პარტია. სხვა აზრი  
ჩვენმა ხალხმა არ იცოდა და არც  
უნდოდა მოესმინა და სცოდნოდა.  
მაგრამ შრომელმა ხალხმა გამოიღ-  
ვიდა, მიმოიხედა თავის გარშემო და  
დაინახა, რომ ის ღრმით სცდებოდა.  
დღეს იგი შეუღდა ამ შეცდომის  
გასწორებას, ბევრ სოფლებში თქვენ  
გაიგონებთ ასეთ მსჯელობას: რა უყოთ  
მეერ № 1 რომ ავირჩიეთ მოვსტყუვდით  
და ახლა მოვითხოვთ, რომ ჩვენი  
ნუმრები უკან დავებრუნოთ. ზოგ  
აღვიღას ხალხი მოუთმენლათ მოე-  
ლის იმ დღეს, როდესაც მას ნუმ-  
რებს უკან დაუბრუნებენ და ხელ-  
ახალი არჩევნების ნებას მისცემენ.  
საით მიიღტვის ჩვენი ხალხი? გა-  
კონტრ-რევოლუციონერდა თუ არა  
იგი? შემოთ დასახელებულ ცხრილში  
ნათლათ სჩანს, რომ ხალხი არ აძ-  
ლევს თავის ხმას ჩვენს ერთად-ერთ  
კონტრ-რევოლუციონ. პარტიას —  
ეროვნულ დემოკრატიებს. ის უფრო  
მარცხნით მიდის. მისი ხმები ისევ  
სოციალისტებს ეკუთვნის; მისი სიმ-  
პატია ისევ სოციალისტური პარ-  
ტიებისაკენ არის. მხოლოდ იცვლე-  
ბა ძალია განწყობილება. ეს ცნო-  
ბები ცუდ გუნებაზე დაყენებს ყველა  
იმას, ვისაც ჩვენი პარტია რუსის  
საღდათების პარტიათ მიანდა. ჩვენ  
მართალი მოგახსენოთ კიდევ ვამა-  
ყობდით ამ სახელით, ვინაიდან  
რუსის საღდათი იგივე მუშა და  
გლეხია; მუშებისა და გლეხების ინ-  
ტერესები ყველგან ერთნაირია —  
რუსეთშიაც და აქაც. და ამიტომ  
არც გასაკვირველია, თუ ჩვენი შრო-  
მელი ხალხი იმავე პარტიას მისცემს  
ხმას, რომელსაც რუსეთის შრომე-  
ლი ხალხი აძლევს. ეს ბუნებრი-  
ვია, მაგრამ ჩვენს მოწინააღმდეგეებს  
საბუთი ეგონათ ეს სახელწოდება  
ჩვენს წინააღმდეგ.  
ასე ვგონა იმას, ვინც ფიქრობს,  
რომ რუსის შრომელი ხალხის ინ-  
ტერესები წინააღმდეგობაა ჩვენი

შრომელი ხალხის ინტერესებს. ასე შესჯელობენ ყველა ჯურის ნაციონალისტები. ჩვენ კი პირიქით დარწმუნებული ვიყავით, რომ შრომელი ხალხი სწორედ ჩვენი დროის ქვეშ უნდა დარწმუნდეს. და თუ ეს უწინ რუსეთში მოხდა, ასევე მოხდებოდა საქართველოშიც, დღეს ნათლად სჩანს, რომ ჩვენი მოლოდინი მართლდება, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კომპანიას ვაწარმოებთ მძიმე პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაცია სდევნის ჩვენს პროპაგანდისტებს და ზოგი მათგანი დაატყვევა კიდევ; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის ორი პარტიის ბლოკი, რომლის განკარგულებაშია ადმინისტრაცია, ქონებრივი უპირატესობანი, უამრავი ინტელიგენტური ძალები, მიუხედავად ჩვენი ამ მხრივ სისუსტისა, ჩვენმა სიამ ზოგან გაანახევრა ხმები, და ზოგან დაამარცხა კიდევ ძლიერი ბლოკი. ეს მოვლენა დიდად მანუვრებელია. ის გვიჩვენებს, რომ ვრცელად ჩვენი შრომელი ხალხი, რომ ის პოპულუს იმ მტკიცე ზღას, რომელსაც ის მიჰყავს შრომის გამარჯვებისაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ხალხმა ჩამოიფხრიწა ის ფანტოზების ზეწარი, რომელიც მას ქონდა თვალბუნებ ჩამოხრებული და დაფანტული რევოლუციონური სოციალისტების ცხოველ-მოქმედებას. დაირღვა ბერძენის კედელი, სოციალისტების შუქმფენი სხივები შეიქრა ჩვენს ბნელით მოკლულ სოფელში, და შორს არ არის ის დრო, როდესაც შრომელი სოფელი შეგნებულა იტყვის: გლეხების ერთად ერთი პარტია ს. რ. პარტია.

**სასამართლოში.**

(შთაბეჭდილებანი)

წულუკიძის საქმე დიდი ხალხი მიიზიდა. მეც დაკომული ძარღვებით ვადევნებდი თვალ-ყურს პროცესის მიმდინარეობას. მე ის სხვადასხვა მხრივ მაინტერესებდა. ერთი მიმდინარე გამოვლო თუ რას წარმოადგენდა ტრადიციის „გვირი“ წულუკიძე როგორც პიროვნება, იყო თუ არა მასში რაიმე სულიერი სიმდიდრე და როგორ იმოქმედა მასზე მომხდარმა უბედურებამ, ერთი, სიტყვით მე მაინტერესებდა წულუკიძე როგორც ფსიხოლოგიური ტიპი. მეორეს მხრივ მაინტერესებდა საზოგადოების ფსიხოლოგია, მისი დამოკიდებულება ფაქტთან. და ბოლოს მსურდა გამეგო თვით ტრადიციის ბუნება და მისი გამომწვევი მიზეზები. ასე დიდი ინტერესით მივდიოდი სასამართლოში. მეგონა დიდ რთულ და თავისებურ მოვლენასთან შეკნებოდა საქმე, რომლის გადაშლა, ანალიზი ამდიდრებს სულს ახალი ელემენტებით. პროცესი თვისი ფსიხოლოგიური შინაარსით სანდა გამოვლდა.

თუ ტრადიციის ბეჭედს ასევე და მთა ერთნაირ ინტენსივობას აძლევდა მას—ეს უფროსად დიდ-ბუნებოვან ადამიანს ვლ. გომბოის უაზროთ დაქარგვა. სანდა იყო პროცესი თვისი ფსიხოლოგიური შინაარსით იმიტომ, რომ ტრადიციის „გვირი“ წულუკიძე სულიერად მეტად ღარიბია. ის ჩვეულებრივი დაბალი ზნეობის თავადია, რომელსაც შემაჯავებელი ცენტრი არა აქვს და მათა ყოველ წამს ყოველივე სისადავლე ჩიონის. თუ ეს ეს მას მოეპოვებოდა. ქალის გაუპატრონებისათვისაც კი იყო გასამართლებული ის. ეს ფაქტი ყველაფერს დაბარავს. ჩაუდგინა მას მკვლელობე-სიტყ. ასეთ პიროვნებას არ აქვს ღრმა სულიერი განცდანი. მისი ტანჯვა უფრო ფსიხოლოგიურია, ვიდრე ფსიხოლოგიური. მას ეწინააღმდეგება ტყვეობის, ფსიხიკური—შეზღუდვის, სულიერად, ზნეობრივად ის არ იტანჯება, როგორც პიროვნება, წულუკიძე, როგორც ვთქვით, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს, არავითარი დადებითი შინაარსი მის სულს არა აქვს.

სამაგეროთ საინტერესო იყო თვით საზოგადოების დამოკიდებულება ფაქტთან და ის შეთორდი, რომლითაც დამკვე-

ლები სცილობდნენ წულუკიძის გამართლებას.

საზოგადოება დანაწილდა. ერთი ჯგუფი სპეციალურად ჩამოსული თავს დასტრიალებს წულუკიძეს. ყოველივე ღონის ღონობს, რომ ის ხიფათი ვადარჩინოს. ეს ჯგუფი აშკარად მოქმედებს. გარბის, გამორბის. საზოგადოებაში მიტემა-მოთქმას იწვევს მისი „საქმიანობა“.

ამ ჯგუფს თავდაზნაურობა შეადგენს. მასში უნა დადიანია. სცილობენ წულუკიძე დიდ პიროვნებათ, საზოგადო მოღვაწეთ გამოიყვანონ. საზოგადოების დიდი უმრავლესობა აშკარა აღმოფთვით უტყურობს ამ ჯგუფს და თვით წულუკიძეს. ძარღვები დაჭიმულია. ატმოსფერა მძიმდება. პროცესი ნელ-ნელა მიმდინარეობს. ამოწმების ბრალდებულს, ექსპერტების უმრავლესობა სცნობს მას სულით ავადმყოფათ. საზოგადოებაში ჩოჩქოლია. ექსპერტის დასკვნას იქვის თვალთ უყურებენ. საცოდეს სურათს წარმოადგენენ მეცნიერების „ქრუმები“, როდესაც ტრინიზალის შეკითხვებზე იძლეოდნ პასუხს. ექსპერტები იბნევიან. თავიანთ დებულებებს ვერ იცავენ. საზოგადოება გულდასმით ისმენს. მას ეს-მის საქმის ვითარება.

არც წულუკიძის დამკველები იყვნენ სახარბილო მდგომარეობაში. სოციალისტი ბებურიშვილი და ზელენსკი ამტკიცებდნენ რომ ქალის გამაპატრონებელი, მკვლელი წულუკიძე საზოგადო მოღვაწეა და მერე ისეთი, რომლისათვის თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო იტყობდა. როდესაც უსმენდნ მათ, კითხვა დამებადა: ნუ თუ ყველაფერს დატყდა გამართლება შეიძლება. ნუ თუ ისე დაკინდა და დაქვევითა ჩვენი ზნეობა, რომ სოციალისტიც კი თავისუფლად გრძობს თავს, როდესაც იცავს ასეთ მანხიჯ პირს როგორც არის წულუკიძე. აქ მექმობაგონ და ერთი დიდი პროცესი, რომელიც ორი თუ სამი წლის უკან პეტროგრადში გაიარა. საქმე დაახლოებით შემდეგში იყო: კიევის მოქალაქეს № შეყვარებულა გვაგებით ქალი არა ჩვეულებრივი სილამაზის. ამ ქალსაც უყვარდა ის. კაცს ჰყავდა აგრეთვე კანონიერი ცოლი, რომელსაც მეტად უყვარდა ქმარი. ამ ორ ქალთა შორის ეჭვიანობის ნიადაგზე შეიქნა დიდი ბრძოლა. საქმეს ვერაფრამა ვერ უშველა. ორი სიცოცხლე იტანჯებოდა. ტრადიციული თანდათან რთულდებოდა. ბოლოს კანონიერმა ცოლმა გადასწყვიტა თავისი მოპირდაპირის მოსპობა. წვიდა პეტროგრადში და იქ მოყიდული კაცის ხელით შეგასა მას სახეზე კარბოლის სიძველე. მსხვერპლს სახე საესვებით დაუმხინჯდა და თვალბუნებ დაუბრმავდა. სილამაზე მოესპო. მშვენიერი სიცოცხლე დამახინჯდა. ამ საქმეზე შეიქნა პეტროგრადში პროცესი. დამნაშავეს. დამკველათ გამოვიდა კარბოლესკი. როგორც ვხედავთ, აქ ღრმა ტრადიციასთან გვაქვს საქმე, ღრმა სიყვარული ქმრისადმი იყო მიზეზი ამ ტრადიციისა. მას ნახი გმნობა ედვა სარჩულათ ეს პროცესი პსიხოლოგიურად მეტად საინტერესოა. ასეთ პროცესში გამოსვლა, ჩემის აზრით, არავითარი ზნეობრივ პრინციპების შელახვა არაა. მაგრამ, პრესამ მიინც უკიყინა კარბოლესკის, რომ ის უზნეოთ იქცევა და არცხვენს პროფესიას, როდესაც გამოდის დამკველათ ასეთი დამნაშავესა. წულუკიძის საქმე სიმპახივიტა შეუდარებელია, თვით პიროვნება საესვებით უარყოფითი, და სოციალისტი ბებურიშვილი და ზელენსკი გამოდიან და საზოგადოებას უმტკიცებენ, რომ რამოდენიმეთ მიინც შეამსუბუქეთ წულუკიძის მდგომარეობა, რომ წულუკიძე საზოგადო მოღვაწეა მისთვის ხალხი ცრემლებს ღრისო და სხვა. მეტი რომ არ ვთქვათ, ეს ცინიზმა.

დაბოლოს ორიოდ სიტყვა თვით მკვლელობის ბუნებაზე. მკვლელობა პოლიტიკური იმ აზრით რომ ვითომ წულუკიძემ, როგორც რეპუბლიკანების ტერორისტმა, მოკლა ვლ. გომბოია, არ ყოფილა. წულუკიძეს ასეთი აქტის შესრულების შინა არ ქონდა. წულუკიძემ მოკლა ვლ. გომბოია, როგორც თავზე ხელ აღებულმა და ზნეობრივად დაკარგულმა პიროვნებამ იმ აზრით, რომ ის, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, ვლაც ვადარჩენდა თავს სასჯელისაგან. წულუკიძეს სამუდამო კატარგია მიუთავსეს. არა მგონია, რომ მოქალაქის სინდისი ამან დაამშვიდოს.

შოქალაქე.

**მთავრობაში.**

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით, ბონების პასუხსმგებლობითი განაწილების კომისიაში წევრებათ დაინიშნა: ფინანსთა მინისტრის აშანაგაი კანდელიაკი, სახალხო განათლების მინისტრის ახვ. ალ. მდივანი, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი ი. ლორთქიფანიძე. ეს დადგენილება გარკვე შექმნათ სამინისტროში უნდა აცნობოს სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომ მათაც დანიშნონ თავისი წარმომადგენელი ხსენებულ კომისიაში.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების ჯამაგირებს მომატებისა და ერთდროული დახმარების შესახებ მთავრობამ დაადგინა: 1) საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს მიემართა ჯამაგირი 1 აგვისტოდან თითოს 150 მ. 2) მიეცეს მათ ერთდროული დახმარება 100 მან. 3) როგორც ჯამაგირების მომატება, ისე ერთდროული დახმარება ედება მხოლოდ იმ მოსამსახურეებს, რომლებიც დარჩებიან შტატის შემცირების შემდეგ. 4) დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაუყოვნებლივ მოახდინოს ფოსტა-ტელეგ. მოსამსახურეთა შტატების შემცირება. 5) გამოეცხადოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ სათანადო უწყებების საშუალებით, რომ მთავრობის მიერ მიღებული იქნება ზომები, მათი პურიით უზრუნველ-საყოფათ. 6) ამ დადგენილების ხარჯების დასაფარავად გაეცნა შინაგან საქმეთა მინისტრს საქირო კრედიტი 10 მილიონთან ფონდიდან.

**უკანასკნელი ხსოვნები.**

ამ დღეებში ოსმალეთმა დასცალეს ახასთუმანი და იმ რაიონიდან თავისი ჯარები გაიყვანეს. როგორც ვიცით, ახასთუმანის და აწყურის დაცლა მოხსენებულია ბათუმის ხელშეკრულებაში. იქვე არის ნახსენები, რომ ოსმალებს ნება ეძლევათ საქართველოს ტყინის ზღვებზე გაატარონ თავისი ჯარები. ვინაიდან ოსმალეთის მთავრობამ თავისი მხრით ხელშეკრულების მუხლი ახასთუმანის დაცვის შესახებ აასრულა, მოსალოდნელია ამ დღეებში მან მოსთხოვოს ჩვენს მთავრობას თავისი ჯარების გადატარება საქართველოს რესპუბლიკის რეინის გზით.

**კ ა ვ ა ვ შ ი .**

ამ ჟამათ კავკავში სიწყნარება. ყაზახები ქალაქიდან განდევნილ იქნენ. ახალი მთავრობა იცავს საბჭოების ძალა უფლებას. როგორც ვადმოგვცემენ სულ მოკლე ხანში ჩრდილოეთ კავკასიაში მოსალოდნელია დატრიალებს დიდი ამბები და ასტყდეს დიდი ბრძოლა, რომელშიც დიდ აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ინგუშები. უკანასკნელათ მოთხოვნილებაა მთელი ყაზახობა გადავიდეს თერგის მარცხენა ნაპირზე.

**სამეგრელოში.**

უკანასკნელათ მოსულ ცნობებში ზუგდიდის ჩაზრასი სასტიკათ გაძლიერდა ბოლოშევიკური აგიტაცია და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული გამოსვლები. ბოლოშევიკებს შეუკრებიან რამოდენიმე ახალი შეიარაღებული კაცი, რომელთაც ხელთ აქვთ ზარბაზანი და ტყვიის-მფრქვევლები. მდგომარეობა ფრიად სერიოზულია.

**„კარა-ბაზის რესპუბლიკა“.**

კერძო ცნობებით, კარაბაზის რესპუბლიკაში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა სომხობაა, დიდი მზადებაა ბაქსკენ მიმავალ ოსმალთა ჯარების წინააღმდეგ.

**მახარაძის ღებემა.**

საქართველოს მთავრობის დედეგაციის თავმჯდომარე მახარაძე ღებეშით აუწყებს 21 აგვისტოს ყაზახებიდან მთავრობას: დღეს დედეგაცია, რომელიც ვაგზანელი ოყო კავკავში თერგის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ, დაბრუნდა ყაზახებში. 6 აგვისტოს კავკავი აიღეს ყაზახებმა დიკავეს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო და თითქმის განდევნეს ბოლოშევიკები ქალაქიდან. მათ დაიწყეს ბრძოლა ქუჩებზე და ესროდნ ქალაქს ჯავშნოსან ავტომობილებიდან 10 დღის განმავლობაში, ჩვენ ვიყავით ქალაქში, როდესაც დაიწყეს იმ სახლის ძარცვა, რომელშიც ჩვენ ვიყავით, 16 აგვისტოს ინგუშების დახმარებით გამოვედით ქალაქიდან და ინგუშეთით, მთებზე ვადმოველეთ ს-

ქართველოს სამხედრო გზაზე. კავკავიდან ჩამოსულების სიტყვით ამ ჟამათ ქალაქში სიმშვიდეა: ყაზახები განდევნილი არიან ქალაქიდან მრავალი სახლები დახტეულია. დღეს იქ მოხდება ახალი მთავრობის არჩევნები.

**ანაკრები.**

ნაოლაღევის რაიონი.

ნაოლაღევის რაიონში ბოლოშევიკურ ბანდებს მთავრობის ჯარის უფროსმა ულტიმატუმი წაუყენა იარაღის ჩასაბარებლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ზარბაზნები დავიშერთა.

**ახალი სენაკი.**

ახალსენაკში გარნიზონის უფროსმა პოლკოვნიკ სრესელმა საალყო წესები გამოაცხადა. საალყო წესების გამოცხადება გამოიწვია ბოლოშევიკების ბრბოების სენაკზე მოახლოებამ. საღამოს 9 საათიდან ქუჩებში გამოვსლა აკრძალულია.

**ღეჩხუმი.**

პოლ. ზაქარიაძე იტყობინება, ვატყობინებთ, რომ სოფ. ზოგობმა, აქარამ და ალბანამ ჩავებაბარა 80 ვინტოვკა. ჩვენი მხვერავები აღწევენ სოფ. გვარდანამდი. მხვერავების ცნობით მთელი მცხოვრებლები მთავრობის მხარეს არიან. რაზმის სულიერი განწყობილება საუცხოვოა. (ღებეში). 17 აგვისტოს მე დავიკავე სოფლები: ბაჯთავალიში, ქვერა, ბაერა და ტალა. სენაკში შემოვედით. ვაწყობ ახალ რაზმს. მოწინააღმდეგეთ უკაფათ სოფ. ჭყვიში ვაშრა და იმალა. დაგაპატრონეთ სოფ. ქოკვიბიდან გამოქცეული, იარაღით.

**შტაბს-კაპიტანი ნაცვალოვი.**

მეგრელების დედეგაცია.

ზუგდიდიდან გუშინ მთავრობის წარუდგა მოხსენებით დედეგაცია და აუწყრა ზუგდიდის მაზრის მდგომარეობა. დედეგაციამ სთხოვა მთავრობას ჯარის გაგზავნა. რადგან მდგომარეობა სასტიკათ გამოწვევებულა.

**დუშეთის მაზრაში.**

დუშეთის მაზრაში წესიერების დასაცავათ მთავრობამ ვაგზანა ჯარი. — დუშეთის მაზრაში მოქმედი ბრბო მთავრობის ჯარმა ვათანტა.

**სამეგრელოდან.**

(ღებეში).

ნაოლაღევიდან ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს მოუვიდა შემდეგი ღებემა: „ყაზახების განთავისუფლებას ბოლო აღორ უჩანს. ხალხი აღელვებულია, რადგან ასეთი განთავისუფლება ხელს უწყობს ძარცვა-გლეჯის ვაგრცელებას. ადგილობრივი ადმინისტრაცია მოკლებულია საშუალებას დაატყულოს დამნაშავენი, რადგან უმაღლესი მთავრობა მათ ანთავისუფლებს... ხალხი თხოულობს ამ კითხვების გადაჭრას არა ამხანაგურათ, არამედ სახელმწიფოებრივი დედეგაციისათ.“

პოლ. ზიკვაიძე.

**ახალი კავკავი.**

— რედეკაციისგან. ჩვენგან დამოუკიდებელ მიწების გამო ჩვენი ვაშეთის უკანასკნელი ორი ნომერი არ გამოვსლა.

— „სამხედრო მარჩვევები“. სამხედრო სექციის უკანასკნელ სხდომაზე პირველათ მონაწილეობა მიიღო გერმანიის მთავრობის მიერ ახლათ დანიშნულმა წარმომადგენელმა. (მარჩვევება).

— ქუთ. გუბერნიის კომისარი. 21 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის კომისარი ბ. ჩხივიშვილი, სხვათაშორის მას მთავრობასთან ექნება მოლაპარაკება ზუგდიდის ამბების შესახებ.

— იმ უწყობის აღსაკვეთად, რომელსაც დღეს სამუშაოდ ფოსტისა და ტელე-

გრაფის კორესპონდენცია ჩამოვიდა საქმეში აქვს ალაგო ვითრე, ყველა სხელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათ და ორგანიზაციებს და აგრეთვე ყველა თანამდებობის და კერძო პირისათა ყველა იმ შემთხვევაში, როცა მათავის დროზე არ ებარება ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენცია, მომმართონ მე № 28 ტელეფონით და ამ რიგად მომცენ შეტლება, რომ თავის დროზე მივიღო ზომები ამ ფრიად არა სასიამოვნო მოვლენის მოსასპობლად. თბ. ფოსტა-ტელ. უფროსი მგელაძე.

— თბილისის ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე რათა უკანასკნელმა ნება დართოს ვიკვანოს გერმანიაში 5.000 ფუთი დაუმუშავებელი სპილენძი სხვადასხვა მანქანების გასაკეთებლათ. მანქანები გამოიგზავნება თბილისში. ვატრობა მრეწველობის მინისტრმა ამაზე გამოსტყვა თავის პრინციპიული თანხმობა. მანქანები შესაკვეთად გერმანიაში იგზავნება ტრამვის მთავარი ინჟინერი კარკვი.

— ქალაქთა კავშირის ყრბობა.

ამიერ-კავკასიის ქალაქთა მთავარი კომიტეტი 5 უნენისთვის იწვევს თბილისში საქართველოს, ადრბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების ქალაქების დელეგატთა ყრილობას. წარმომადგენლობა პრეპარაციონალურია. ყოველ 20 ხმოსანზე ერთი დელეგატი. გარდა ამისა ყრილობის მეშუაშაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა რესპუბლიკების ქალაქების საბჭოების წევრებს, ხმოსნებს და ქალაქის თავებს.

— ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭომ მიიღო შემდეგი ღებემა თავის წარმომადგენელისაგან, ვებრსკიდან, რომელიც ვაგზანულია გემების საშოვნათ რუსების გადასახიდათ. საქართველოდან რუსეთში: „გემები არ იშოვება. ტრანსპორტის ყოფილი კომიტეტი დაიხურა. არამვირთან მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია, ყუბანის ოლქში ყველაგან ბრძოლაა. თუ ნაფოროსისკვი ვერ ვიშოვებ გემები, მივიღებო ქერჩში“.

— ადრბეიჯანის მთავრობამ წინააღმდეგა მისცა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომ თფილისის და განჯის შუა აღდგენილ იქმნას მიმოსვლა: ამისთვის მგზავრები უნდა გაიხრიკონ თფილისში და არა ნავთულისა და ფილილშის სადგურებზე.

— როგორც ვადმოგვცემენ, მთავრობის წარმომადგენელი ერაძე, რომელიც ვაგზანული იყო ტყბულში მუშების და მოჯარადრეთა შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად, ვერას ვამხდარა და უკანვე დაბრუნებულა.

**ქუთაისის აგვაგი.**

საერობო არჩევნები დამთავრდა ქუთაისისა და ქუთაისის რაიონში. ქუთაისის მაზრის რამდენიმე რაიონში არჩევნები არ მიმხდარა ანაკრების გამო—არჩევნები ვადიდო რაიონში, (ტყბულის რაიონში) და ხონის რაიონში. იქ, სადაც მოხდა არჩევნები გამოიკვა, რომ ხალხი არჩევნებს დიდი გულგრობით ეპყრობა. სოც.-დემოკრატების ტყბის და სოც.-დემოკრატების „ბლოკს“ დიდი იმედი ქონდათ არჩევნების, მაგრამ ანგარიშები არ გაუმართლდათ, ხალხის დიდმა რაოდენობამ მათ ზურგი აქცია.

ამ უკანასკნელ დღეებში ქალაქში შემცირდა ხოლმით ავამთყოფთარიცხვი. ქალაქის გამგეობამ გამოსცა დადგენილება, რომ ქალაქში სრულიად არ იქნეს შემოტანილი სოფლებიდან ხილულობა.

ქუთაისში ამ ჟამათ ვახსნილია სახალხო მასწავლებელთათვის საზოგადო კურსები. კურსებს ესწრება მრავალი მასწავლებელი.

ხდება სასტრსათო კომიტეტების ლიკვიდაცია, ყველა კომიტეტების საქმეები ბარდება საინისტროს რწმუნებულს, ვარიგოლის.

საპროგნოზო არჩევნები სანაის მაზრაში.

Table with 2 columns: Candidate Name and Votes. Includes names like ბანდა, სოც.-რევ., ლეხინდრაფო, etc.

პატარა ფელებონი.

(კამათის გაგრძელება ჩიქოვანის შეკითხვის გამო).

ბარათაშვილი. (სოც. ფელ.) შემოტანილ შეკითხვის შესახებ მე წარსულ კრებაზე გამოვსთქვი ფრაქციის აზრი, მაგრამ ვინაიდან აქ მე შემეხებენ, ახლა ჩემი აზრიც უნდა გამოვსთქვა. გაბაშვილი წაუწვევებს, გორის ტრიბუნალმა ბევრი საუკუნო დასაჯა სიკვდილით. ამასთან იმასაც მოითხოვს, რომ მე არ გამოვიდო დასაჯებულთა დამცველად; ახლა ერთი მითხარით თქვენნი ჰირონი; მე გამოვიდოვარ დამცველად და მაინც სჯიან სიკვდილით და თუ დამცველი არ ეყოლება, მაშინ უფრო მეტს არ დასაჯიან? არ არის მართალი, თითქმის დახურულ ტუსასის წერილი მოეწეროს იუსტიციის მინისტრისათვის, თუმა ეს იუსტიციის მინისტრმა დაადასტურა, მარა იმით, რომ არ უნდა დაგაშვილი ტუსაში დაეკირო და შეერცხინა. ერთი სიტყვით ის რაც აქ ითქვა ამ შეკითხვის შესახებ არ შეესაბამება ნამდვილ სინამდვილეს. დიან, როცა აქ გამოდინებარ ისიც გვითხარით: ლალაშვილი თუ არა თქვენნი ბაგე ნამდვილ სინამდვილეს. სინამდვილე, თუ ის ნამდვილი არ იქნა, ჩვენ არა გვწამს. (მკუხარე ტაშა).

ჩიქოვანი. (რად. დემ.) ყოველი საკითხი ამ პარლამენტში პარტიულ ხასიათს ღებულა. თუნდ ისეთი წვრილმანი საკითხი რომ ავიღოთ, როგორც საშეღრო კანონ-პროექტი იყო, იქაც არ იყო ერთსულოვანება: მხარს უჭერდნ ყველა დემოკრატიული პარტიები: ეროვნულ-დემოკრატიული, სოც.-დემ. (რა თქმა უნდა თავის კუდიტ), და რადიკალ-დემოკ., მართალია დანარჩენები, რომლებიც არ თანაუგრძნობდნ. დიდ უმცირესობაში იყვნ, მაგრამ ფაქტია, რომ ერთსულოვანება იყო დარღვეული. მე კი ვფიქრობ, რომ ამ ერთ შეკითხვაში მაინც იქნებოდა ერთსულოვანება, მაგრამ მოკლესუფი. სხვას რაღა მოეხოვება, როცა თვით მინისტრები უდაბნენ. მე მიხაილოვის საავტოროფონიდან მაქვს ლოკუენტი, საიდანაც სჩანს რომ ნინიძე არა ნორმალურათ მსჯელობს, აი ბატონებო მარკაც აქვს დაკრული (ანგუნებს). აქ შინაგან საქმეთა მინისტრი ძალიან მემუქრებოდა. მაგრამ ჩვენს პარტიას ეგ არ აშინებს. რას გვიჩნის, ერთბაშათ გავხეით არ დაგვიხუროს! დატუსაღება რა უნდა იყოს! ჩემმა ამხანაგებმა ახმეტელმა უკვე მოხადა ეს ბეგარა და მეორეთ ხომ არ მოგვადიან. (ტაში მთავრობის ადგილები-ბიან).

პარლამენტში კამათი და რა არის შეკითხვა. სიტყვა შეკითხვა წარმოსდგება კითხვისაგან. კითხვის ის, ვინც არა იცის რა, იმას, ვინც ბევრი იცის. როდესაც პარლამენტი კითხვას მთავრობას, ეს იმითმ რომ უთუოთ რაიმე არ იცის და გულისხმობს, რომ მთავრობას ეცოდინება. ახლა, ბატონო, ხომ ვამბობთ ჩვენ ქართველები: არცოდნა—არცოდნააო. და არც ჩვენი არცოდნა უნდა ჩავვითვალოს მთავრობამ და მისმა პარტიამ ცოდნათ. აქედან ცხადია, რომ შეკითხვა არ უნდა ეწყინოს არც მთავრობას და არც მის პარტიას.

თავმჯდომარე. თქვენი ლექცია დასრულდა. თქვენს ითვლება და გთხოვთ წაბრძანდეთ. სიტყვა ეკუთვნის ახმ. ნინიძეს.

ამხანაგი ნინიძე (ს. დ.) მე ბატონებო უნდა გავიმეორო ის რაც წინეთ მოგახსენეთ (მხები: გთხოვთ, გთხოვთ!) იმეორებს. ყველანი გულმოდგინეთ უსმენენ \*) განაგრძობს: კონტრ-რევოლიუციონერები სიტყვა კი არ არის, ეს ადამიანებია; თქვენ ხართ, ჩემო გვრიტებო! (მიმართავს ეროვნულ დემოკრატებს) ეს თქვენ კი არ უნდა გვწყინოთ! თქვენ შეიძლება კომპლიმენტათ ჩამომართვათ. არა, კომპლიმენტებს მე თქვენთვის არ ვხარჯავ. მე აქ ვაფიქროვ: აღმინისტრაციის თვითნებობა და მთავრობა არ არის დამაშვილო—ეს ასე არ არის. ჩვენი ფრაქცია გადაჭრით ატყდა, რომ სწორედ მთავრობა არის დამაშვილო. თავი იმით უნდა ვინჯეყო, რომ ყველაფერი ისტორიის ბრალია, და სწორედ ეს ბებრუბანა ისტორია უნდა იქნას დამაშვილო სკამზე დასმული. აი სულ მალე რუსეთის მინისტრი მოაწვდის სასამართლოს და მაშინ გავსამართლოთ ეს ბოროტი ისტორია. მაშინ რასაკვირველია ბარათაშვილს არ ექნება უფლება დამცველად გამოვიდეს. მას მხოლოდ ტრიბუნალზეში აქვს პრაქტიკის უფლება. დასასრულ უნდა შევკითხო შეკითხვას ავტორს: რათ დასტრიალებს ჩიქოვანი ამ ორ მკვლელობას? ის გარემოება, რომ ეს რომანიულ ნიადაგზე მოხდა, საბუთო მამლევის ვიფიქრო, რომ შენც მონაწილე უნდა იყო. ამ მხრით კარგათ ვიცი შენი ამბავი. ეროვნულ დემოკრატებს სვირში მგზავრობა უყვართ და შენ... მარა არ გავაშველ. რაც შეეხება ბანკის გაყარვას, ვეღამ იცის რომ მე ფული იძულებით ვეღესებ როგორც კომისარია. ეს ცარცვა არ ვახლავთ. ის ფულები მილიციონერებს დაუვრიგე აკი გადახადეს კიდევ სალდათების ცოლებმა! (ტაში და ტაში).

თავმჯდომარე. რაკი უკანასკნელათ ს. დემ. ილაპარაკა, წინადადება შემოსული კამათი უსწყდეს. ამას კენჭის ყრაც არ უნდა, მაინც გავა.

კამათი სწყდება. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია, რომელიც შეთანხმებით შეიმუშავეს ყველა ფრაქციებმა: ვინაიდან მესხვილს მიწერ-მოწერა კონია დახვრეტაზე, რაც არა ნორმალურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, რათა ბოლო მოეღოს ამ არასასურველ მოვლენას, საჭიროა შესწყდეს ფოსტის მიმოსვლა მანამ, სანამ ის იქნება იუსტიციის მინისტრათ.

სოც.-დემოკრატ. ფრაქციამ შემოიტანა შემდეგი დამატებითი რეზოლუცია: გამოეცხადოს დიდი მადლობა ჩიქოვანს ამ შეკითხვის შემოტანისათვის. კენჭის ყრით ხმის დიდი უმრავლესობით ეს რეზოლუცია უარყოფელ იქნა.\*\*)

კვრთხი.

უცხოეთი.

სააფუა წესები ბერლინიში. 6 მკათათვის სხდომაზე რეისტრატში გაგრძელდა კამათი ბერლინიში სააფუა წესებისა, და იმ რეპრესიების შესახებ ბევრდღეით სიტყვისა და კრებების წი

\*) დაწერილებით ნინიძის პირველი სიტყვა მოთავსებული იყო ჩვენს პატარა ფელეტონში (იხ. შოთა № 9.).

\*\*) შეიძლება ვისმე გაუკვირდეს ის მოვლენა, რომ უარყოფელ იქნა სოც.-დემოკრატ. რეზოლუცია მაშინ, როცა მათ საბჭოში აბსოლიტური უმრავლესობა ყავთ. მაგრამ აქ გასაკვირველი არააფერია. ხანდისხან ფრაქციის დამიწნება და სად ნახლავ, რომ მიწინააღმდეგელები აეწიოს ზეით. ასე მოხდა მაგ. წინეთაც. როგორც მოგხსენებთ, სოც.-დემოკრ. ფრაქციამ მოითხოვა საბჭოს წევრთათვის 25 მან. დღიური. ესერებმა 30. კენჭის ყრით ს. დ. რეზოლუცია გაშავდა და გავდა ესტრების. გასამტარი არაფერია ამ ცოდვილ ქვეყანაზე.

ნაილმდე, რომელთაც მიმართავდნენ სამხედრო მთავრობის წარმომადგენელნი. ლაპარაკობდნენ დამოუკიდებელი სოციალისტი დეპუტატები და პროგრესისტი მიულერები. ყველანი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ცენზურის თვითნებობის წინააღმდეგ. მოითხოვდნ სააფუა წესების მოხსნას და სახედრო და პოლიტიკურ ცენზურის სასტიკ განსახლვრას. დეპუტატმა გააზემ სიტყვა:

— მთავრობის მხრით არავითარ შეღავათს არ უნდა მოვლოდეს კაცი ცენზურის სფეროში. რეისტრატე უღონოა ამ შემთხვევაში. ასეთ ფაქტებს მანამდე ექნება ცხოვრებაში ადგილი, სანამ რეისტრატე ძალღონეს არ მოიკრებს გადამწყვეტი წინააღმდეგობისათვის. ჩვენ მოვითხოვთ სააფუა წესების მოხსნას. შავი კაბინეტი თვალყურს ადევნებს საიდუმლოთ არაამც თუ მხოლოდ ორ სოც.-დემოკრ. ფრაქციის დეპუტატთა წერილებს, არამედ სხვა პარტიათა დეპუტატებისაც. დეპუტატის წერილების გახსნა კონსტიტუციის დარღვევაა.

გააზემ გარდა ილაპარაკა კიდევ ბერკელდმა (დამოუკიდ. სოც.): — სააფუა წესები ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. განსაკუთრებით დამოუკიდებელნი არიან შეზღუდულნი ასეთი წესების დროს. ქრისტეშობისთვისა და იანვარში აფიქრადეს 99 ყრილობა. ჩვენ პარტიულ ამხანაგებს ძალით მიერეკებიან თოფქვეშ დასაყენებლად; მთავრობის სოციალისტები კი სრული თავისუფლებით სარგებლობენ. ეს ბატონები ემსახურებიან მთავარ სარდლის განკარგულებათა მიზნებს. ეგერი გაყიდვები არიან თავიანთ პარტიული ამხანაგებისა (უკმაყოფილება და სმაურობა მთავრობის სოც. დემ. სკამებზე). მიუხედავთ ჩვენი თხოვნებისა გახვითის გამოცემის ნებას არ გვამდევნ ბერლინიში.

შემდეგ ორატორი ვადადის ნოსკეს მიერ პირადათ მის წინააღმდეგ გამოლაშქრებზე. ნოსკე ადგილიდან: „მე რუ გადამოწყდებთ, თორემ უარესს გაიგონებთ“. მერცხველ განაგრძობს: — ყველა იცნობს იმ პარტიას, რომელიც უკანასკნელად გამოცხადებული; ეს—ჩვენი ვართ, დამოუკიდებელი სოც.-დემ.

როგორ დახვრეტეს ნიკოლოზ II 18 მკათათვის ც. ა. კ. სხდომაზე მოსკოვი საბჭოს თავმჯდომარე სვერდლოვმა მოახსენა სხდომას ურალის საოლქო საბჭოსაგან პირდაპირი მავთული მიღებული ცნობები ყოფილ მეფის ნიკოლოზ რომანიოვის დახვრეტის შესახებ.

ამ ისტორიულ სხდომას დაესწრნენ პრეზიდუმის წევრნი: ივანესოვი, სოსნოვსკი, ტეოდოროვიჩი, ვლადიმირსკი, მაქსიმოვი, სმიდოვიჩი, როზენგოლცი, მიტროფანოვი და როზინი. დაწერილებით ცნობები ასეთია.

უკანასკნელ ხანებში წითელ ურალის საბჭოთა ქალაქ ეკატერინბურგს დიდი საფრთხე მოელოდა ჩენო-სლოვაკთა ბრძოლების მოახლოვებით. იმავე დროს აღმოაჩინეს ახალი კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება, რომელსაც მიზნად დაესახა „მორონცხებულ ჯალათის“ საბჭოს ხელდინა განათვისულება. ამის გამო ურალის საოლქო საბჭოდ დაადგინა: დახვრეტის ნიკოლოზ რომანიოვი, რაც სისრულეში მოიყვანეს 16 მკათათვეს. ნიკოლოზის მეუღლე და შვილი საიმედო ავაცილს განაკუყვენეს. შეთქმულების საბუთები დასაქუთარებულნი კურიერის ხელთ გამოგზავნეს მოსკოვს.

ამ მოხსენების შემდეგ სვერდლოვი მოაგონებს სხდომას რომანიოვის ტობლსკიდან ეკატერინბურგში გადმოყვანის ისტორიას, როდესაც აღმოჩენილ იქნა თეთრი გვერდითა ორგანიზაცია რომანიოვის გატაცების შესახებ. უკანასკნელ ხანებში ფიქრობდნ ყოფილი მეფის გასამართლებას ყველა იმ დანაშაულობათა გამო, რომელიც ხალხის წინაშე მიუძღვოდა მას. მხოლოდ სხვა და სხვა მიზეზებმა შეუშალეს ხელი.

ც. ა. კ. პრეზიდუმში მოსმინა რა ურალის საოლქო საბჭოს საბუთები, რამაც გამოიწვია რომანიოვის დახვრეტა და დანაშაულობების სრულიად რუსეთის აღმ. კომ. კანონიერად სივლის ურალის საოლქო საბჭოს მოქმედებას. შემდეგ თავმჯდომარე მოახსენებს სხდომას, რომ ც. ა. კ. ხელში ღირს შესანიშნავი საბუთები ნიკოლოზ რომანიოვის ხელთაწერი დღიურები უკანასკნელ ხანამდე, აგრეთვე მისი მეუღლის და შვილების დღიურები, რომანიოვის მიწერ-მოწერა, სხვათაშორის ვრ. რასპუ-

ტინის წერილები. ყველა ამ საბუთებს გვიარჩევთ და ახლო მომავალში გამოვაქვეყნებთ.

ვაზ. „პრავდა“—ს ვერსია ნიკოლოზის დახვრეტის შესახებ.

ვაზ. „პრავდას“ ვერსია რამდენიმე განსხვავდება ვაზ. „L. ANZ“ მოყვანილ დაწერილებით. ცნობებისაგან. საბჭოს ოფიციაოზის სიტყვით ეკატერინბურგის საბჭომ ვერ კიდევ ერთი თვის წინათ აცნობა ცენტრ. კომიტ. ნიკოლოზ II დახვრეტის განზრახვის შესახებ და დასტურებას სთხოვდა განაჩენის. ტრეკოვი უარით უპასუხა ეკატერინბურგის საბჭოს. ნიკოლოზი ეკატერინბურგის ანტისტრადიყვანეს, მაგრამ როდესაც ორი კვირის შემდეგ ვილაძე მოინდომა მისი მოკლა, ის ხელახლა გადმოიყვანეს ეკატერინბურგში. ეკატერინბურგის საბჭომ ამ ხანებში მიაკვლია კონტრ-რევოლიუციონერთა ახალ შეთქმულების და ამის გამო ხელმოწერა აღძრა შუამდგომლობა ცენტრ. კომ. წინაშე ნიკოლოზ II დახვრეტის შესახებ. უკანასკნელად სულ უპასუხოდ დასტოვა მათი შუამდგომლობა ცენტრ. კომიტეტმა. 16 მკათათვეს დახვრეტეს ნიკოლოზ II.

ნიკოლოზ II საპრობილეში იყო დატუსაღებული. დილა ადრიადათ მოვიდა ცხენში 2 წითელ გვარდიელი. ჩასვენ ნიკოლოზ II ავტომობილში და ქალაქ გარეთ წაიყვანეს, სადაც 10 წითელ-გვარდიელი კიდევ ელოდათ. ეკატერინბურგის კომიტეტის თავმჯდომარემ გამოუცხადა ნიკოლოზ II განაჩენი. ნიკოლოზმა მეუღლესთან გამოთხოვება და რამოდენიმე წერილის დაწერა ითხოვა. ნიკოლოზს უარი უთხრეს თხოვნის დაუკმაყოფილებად. ნიკოლოზ II კარგად ეჭირა თავი. მისი გემი სადღაც წაიღეს ავტომობილით.

„პრავდა“ შენიშნით აბოლოებს ამ ცნობას, რომ ოფიციალური ცნობა ვერ კიდევ არა გვაქვს ნიკოლოზ II დახვრეტის შესახებ, მაგრამ ეგებს გარეშე, რომ ის უკვე დასაჯეს.

უკანასკნელი წერილი ნ. რომანიოვისა. „N treie Presse“-ს სტოკოლმიდან აცნობებენ ნიკოლოზ რომანიოვის წერილს ერთ მის ნაცნობ ღენერალთან, სიკვდილი წინა დღებში მიწაწერს:

„ჩვენი მდგომარეობათ კმაყოფილნი ვართ,—სწერს ნ. რომანიოვი.—მხოლოდ რუსულ წიგნებს ვღებულობთ და ისიც მკაცრი ცენზურის შემდეგ. ეკატერინბურგიდან გამგზავრების დროს მეამობიხეთ ძალადობა უნდოდათ ეხმარათ. ძლიერი ავთ ვახდა ალექსი შიშით. და თუ ცოცხალი ვადავრჩით, მხოლოდ იმის წყალობით რომ ვინაა არ დაგვიკარგავს და იქვე დაგვეწერო სახალხო კომისარია იაკოვლევი, რომელიც ენერგიულად გვიცავდა. იგივე კომისარია განაგებდა ჩვენ დარავჯებს.“

შემდეგ ნ. რომანიოვი სწერს: „ალექსი მძიმე ავთ არის და ლოგინად წევს“. ვაზეთი სწერს, რომ სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებიც ადასტურებენ ამას და უმატებს, რომ ყოფილმა დედოფალმა მონასტერში წასვლის სურვილი განაცხადა, თუ მისი შვილი გირდაიცვალა. ალექსის ავდემოფთანნი: ქლეკი და გულის ფრიალი სასტიკ ხასიათს იღებს. უკანასკნელი ცნობებით ალექსი გარდაიცვალა.

მ. მ. ი.

ბერლინი, 21 აგვისტო. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრტის ლაშქარი. ნეფ-ბერკინთან, მერკილესთან და ლასის სამხრეთით ჩვენმა ქვეითა ჯარის ნაწილებმა, რომელთაც ეკავათ ჩვენი ხაზის მოწინავე პოზიციები უშუაგდეს ინტენსიულების იგრიშები. მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. სკარბის ორივე მხრით და ანკრის ჩრდილოეთით ბრძოლა.

რუს ჩრდილოეთით ჩვენ ბომბს ლაშქარის პოლკებმა მოიგრიგეს მტრის ძლიერი იგრიშები. აკრასა და უაზის შუასარტილოთი ბრძოლა უმწვერვალესად ვაცხოველდა. კრაპოშენინის ორივე მხრი ლასინის ჩრდილოეთი და სამხრეთით და სიმაღლებზე ნუანის სამხრეთ დასავლეთით მტერმა მოიტანა მთელი რიგი იერიშებისა, ვაგრამ უშედეგოთ. ბრძოლის ველზე ანკრისა და აკრის შუა ჩვენ დავაზიანეთ მტრის 500 ჯავანოსანი ავტომობილი. უაზისა და ენის შუა მტერმა 18 და 19 აგვისტოს კიდევ სკად ფრონტის გარდევვა. არტილერიის მოქმედების შემდეგ მტრის ძლიერმა ჯარმა მოიტანა იერიშები ჩვენზე 25 კილომეტ. სიგრძეზე. მტერი ზოგ ად-

გილებში შემოიჭრა ჩვენი მოწინავე ხაზებში. ძლიერი კონტრ-იერიშები მტერს უკან დაიხვეწეთ. სალომოდ განაგრძობდა მტერი თავის იერიშებს, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლითა და კონტრ-იერიშებით უკუვავდეთ. ჩვენი მფრი ნაგები ენერგიულ მონაწილეობას იღებდენ ამ ბრძოლაში.

აღმოსავლეთის ფრონტი სამხრეთ-აღმოსავლეთ სპარსეთში ჩვენი ჯარების წინსვლა ხდება წინააღმდეგ შემუშავებულ გეგმის თანახმად. დანარჩენ ფრონტზე ცვილივება არ მოხდარა.

ცივიბირი

ცივიბირის მთავრობასა და ღენ. სორვატის შორის მოხდა კონფლიქტი. მთავრობა არ ეთანხმება სორვატის პოლიტიკას და გამოაცხადა კონტრ-რევოლიუციონერთათ. მემარჯვენე ესერები და შენშევიკები გამოვიდნ ცივიბირის მთავრობიდან და აწარმოებენ ავტორიტეტის საოლქო საათათბროს წინააღმდეგ. მთავრობა მომხრეა დიქტატურის შემოღების.

გესარაბიაში.

ბესარაბიაში ორთქლმავლების სიმტირის გამო შეჩერებულია მატარებლების მიმოსვლა.

რუმინიაში.

რუმინიის პოლიციამ დაიწყო ტერორი მცხოვრებლების წინააღმდეგ.

ნ. ფულუკიის გასამართლება

(სტენოგრაფიული ანგარიში). რევოლუციონური ტრიბუნალის სხდომის პირველი დღე.

თავმჯდომარეობს ტატიევი. სასამართლოს ბოქაული: მსაჯულები მომრანდებიან, გთხოვთ ფესზე ადგეთ (ყველანი ღგებიან). გთხოვთ დაბრძანდეთ.

თავმჯდომარე: რევოლუციონური ტრიბუნალის სხდომას ვახსნილათ ვთვლი. განსახილველია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ფულუკიის საქმე. ბრალდებულთა წულუკიძე, გამოვიცხადეს თუ არა, რომ სამოქალაქო მომჩინებელ დაშვებულია რევოლუციონური ტრიბუნალის მიერ მოკლულ ვლ. გობეჩიას დედა და ჩივის 72 ათას მანეთს.

ბრალდებული: გამომიციხადეს. თავმჯდომარე: როდის და რომელი სასამართლოს მიერ. რა გქონდათ მისჯილი ლიდი ვულუკიძის გაუპატიურების განზრახვისათვის?

ბრალდებული: ვადასახლება მქონდა მისჯილი.

თავმჯდომარე: როდის იყავით სამართალში მიცემული. ბოქაულ ტატიევის მოკვლის განზრახვისათვის?

ბრალდებული: მეგონი 1892 წელს.

ბრალდებული: . . . რადგან ეს განაჩენი შედიოდა სხვა სასჯელში . . .

თავმჯდომარე: რომელი საოლქო სასამართლო გასამართლებდით?

ბრალდებული: ქუთაისის.

თავმჯდომარე: როდის და რა სასაჯელი გქონდათ მისჯილი და რომელი სასამართლო გასამართლებდით, პავლე ადამიას მოკვლისათვის?

ბრალდებული: ქუთაისის საოლქო სასამართლო.

თავმჯდომარე: როდის ვავასამართლებ?

ბრალდებული: 1899 წელს.

თავმჯდომარე: დაჯექით. სასამართლოს ბოქაული აცხადებს იმ მოქმეთა სახს. რომელნიც არ დასწრებიან საქმის გარჩევას.

თავმჯდომარე: (მიმართავს საზოგ. ბრალდებულს).

თქვენი დასკვნა.

საზოგ. ბრალდებულნი: ამ საქმის გამოძიება მოახდინა პავლეივემა და დაპკითხა როგორც გობეჩიას, აგრეთვე წულუკიძეს. ენლო კი დანაშაულის ჩადენის შემდეგ აღძრულა საკითხი პსიხიატრიული ექსპერტიზის შესახებ. საჭიროთ ვთვლი, რომ პავლეივის ჩვენება, რომელმაც საქმე გამოიძია და მაშინვე

\*) დღედან ვბეჭდავთ სტენოგრაფიულ ანგარიშს პროცესისისას.

